

კონფლიქტის ზონაში მცხოვრები კონფლიქტით დაზარალებული  
მოსახლეობის აღდგენისუნარიანობის სტრატეგიები

ლილე მალრაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა- ფსიქოტრავმატოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი - ლილე მალრაძე

თარიღი: 20.06.2018

## აბსტრაქტი

აღდგენისუნარიანობა ის ფენომენია, რომელიც ადამიანს მატრავმირებელ გამოცდილებასა და მასთან დაკავშირებულ ცვლილებებთან ეფექტურ ადაპტაციაში ეხმარება. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ფენომენის კვლევა ომით დაზარალებულ მოსახლეობაში.

საქართველოში ჩატარებული ეროვნული მასშტაბის ეპიდემიოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე ცნობილია, რომ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები (დევნილობიდან დაბრუნებული) მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე დევნილთა (მახაშვილი 2014) მიუხედავად კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების თვალსაზრისით მრავალი რისკის არსებობისა. ეპიდემიოლოგიური კვლევის ამგვარმა შედეგმა გამიჩინა სამეცნიერო ინტერესი ამ განსხვავების კვლევისა. ჩემი ჰიპოთეზით, ამგვარი განსხვავება შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო ერთი მხრივ, სტრესორთა განსხვავებულ სისტემასთან, რომელიც ზემოქმედებს ამ ორ ჯგუფზე და მეორე მხრივ, აღდგენისუნარიანობის სტრატეგიების განსხვავებაზე. გამიჩნდა ინტერესი, პასუხი გამეცა შემდეგ შეკითხვებზე: 1) რა განსხვავებაა ამ ორ ჯგუფზე მოქმედ სტრესორთა სისტემებს შორის და 2) რა განსხვავებაა ამ ორი ჯგუფის აღდგენისუნარიანობის სტრატეგიებს შორის.

მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ჩავატარე თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით, კოდის დასახლებებში მცხოვრებ დევნილთა თემის წარმომადგენლებთან და ასევე, ამჟამად კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ (დევნილობის შემდგომ დაბრუნებულ) სოფელ ერგნეთსა და ნიქოზში მცხოვრები მოსახლეობის წარმომადგენლებთან. კვლევის მიზანი იყო შემედარებინა, ერთი მხრივ, სტრესორთა სისტემა, რომელიც ზემოქმედებს ამ ორ ჯგუფზე, და მეორე მხრივ, ამ სტრესორთა სისტემის პასუხად განვითარებული აღდგენისუნარიანობის სტრატეგიები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ორივე გამოკვლევულ ჯგუფზე მოქმედებს სტრესორთა კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ომთან დაკავშირებულ მატრავმირებელ სტრესორებს, ასევე სიღარიბესთან და დაუცველობასთან დაკავშირებულ ყოველდღიურ სტრესორებს, მაგრამ განსხვავებით დაბრუნდებული მოსახლეობისგან, დევნილებზე, ამ ექსტერნალური სტრესორების გარდა, მოქმედებს ასევე შინაგანი სტრესორები - ნეგატიური აზრები მათი „არავისთვის საჭიროების“, „დახმარების არქონის“, „საკუთარი ადგილის დაკარგვის“ თაობაზე. კვლევამ გამოავლინა დევნილთა და დაბრუნებულთა შემდეგი საერთო აღდგენისუნარიანობის სტრატეგიები: ოჯახური შეჭიდულობა, თემის ერთობის განცდა, ურთიერთდახმარება, იმედი, რელიგიური რწმენა და შრომა. მაგრამ, გარდა ამ საერთო სტრატეგიებისა, დაბრუნებულები აგრეთვე იყენებენ აღდგენისუნარიანობის ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა: შემჩნევა და ყურადღების გამახვილება თავისი მდგომარეობისა თუ გარემოს მცირედ დადებით ცვლილებებზეც კი, აღქმული სოციალური მხარდაჭერა და წინაპრებთან/“ფესვებთან“ კავშირის (ერთგვარი, „დაფუძნებულობის“) განცდა. აღნიშნული განსხვავებები სტრესორთა სისტემასა და აღდგენისუნარიანობის სტრატეგიებში, დიდ როლს თამაშობს ფსიქიკური ჯანმრთელობის უკეთესი მდგომარეობის შენარჩუნებაში კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მოსახლეობაში დევნილებთან შედარებით, მიუხედავად უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მაღალი რისკებისა, რომელსაც ისინი რეგულარულად ექვემდებარებიან.

**ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:** აღდგენისუნარიანობა, გამკლავება, ტრავმა, დაბრუნებულები.

## Abstract

Resilience is a phenomenon which supports human to adapt to traumatic experience and followed changes caused by it. Considering this, it has utmost importance studying this phenomenon among war affected population.

In 2014 epidemiologic study (Makhashvili, 2014) in Georgia revealed that in spite of too many safety risks, mental health condition among returnees in conflict areas is better than among internally misplaced people. This study finding triggered my academic interest to explore the reason of this distinction. According my hypothesis this contrast could be connected with the stressor system affecting these two groups. On the other hand the difference could be caused with using different resilience strategies. I would like to respond the following research questions: 1) What is the difference among stressor systems affecting these two groups? 2) What is the difference among resilience strategies used by these two groups?

In order to respond these research questions, qualitative research was delivered. Focus groups were delivered with the representatives of internally displaced people community currently living in Koda settlement. Focus groups were delivered with the representatives of returnees who after war conflict had returned in villages Ergneti and Nikozi. Study goal was to compare stressor system and developed resilience strategies affecting these two groups.

The study findings projected that complex stressor system affects the both groups. The stressor system includes war connected traumatic stressors, poverty and insecurity caused daily stressors. On the contrary of returnees, internally displaced people alongside the external stressors, they are affected with internal ones too. These internal stressors cover – negative thoughts about their needless, helpless, loose of their place in the society. The study findings draw the following resilience strategies among returnees and internally displaced people: Family bonding, feeling the unity among community, mutual help, hope, religious belief and work.

Besides these listed strategies, returnees used the ones such as: spotting and paying attention to a bit positive change of their condition or the environment around them, perceived social support and feeling of bonding with their ancestors/roots, feeling of settlement. Considering the safety risks, the distinction into stressor system and resilience strategies plays a role in creating better mental health condition among returnees living in the conflict area rather than among internally displaced people.

**Key Words:** Coping, Internally Displaced People (IDP), Returnees, stressors, Resilience strategies, Trauma.

## მადლობა

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის მინდა, მადლობა გადავუხადო პირველ რიგში ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ დარეჯან ჯავახიშვილს. გაწეული დახმარებისთვის, თანადგომისა და მხარდაჭერისთვის. ასევე მინდა, განსაკუთრებით დიდი მადლობა გადავუხადო გურამ კოკაიას გაწეული რეკომენდაციებისა და დახმარებისთვის. ლიკა კასრაძეს, ოლიკო კასრაძეს და გიული კასრაძეს, რომელთა დახმარებით მოხდა რესპოდენტებთან დაკავშირება და მათი გამოკითხვა.

თარიღი 20.06.2018